სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 სექტემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-10/83

ბსუ-ს სტუდენტების მიერ ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66[1]-ე და 69-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, **„ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის 01-10/95 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 1 აგვისტოს N01-10/82 ბრძანებით), „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის 2024 წლის 13 სექტემბერის სამსახურებრივი ბარათის (1121487, 13/09/2024) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით** გამოცხადდეს რეგისტრაცია ბსუ-ს **სტუდენტების,** ასევე **2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების** შედეგად **ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის** (ვინც დადგენილ ვადებში გაიარა რეგისტრაცია და გააფორმა ბსუ-სთან ხელშეკრულება).
2. **რეგისტრაცია განხორციელდეს** 2024 წლის **20 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, ონლაინ, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, შემდეგი წესით:**

ა) ბსუ-ს პორტალზე მოდულის ,,ჩემი პროფილი“ შემადგენელი ველის „სოციალური ბარათი“ შევსება/ინფორმაციის განახლება და შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვა (საერთო საცხოვრებელით სარგებლობის უპირატესი უფლების მქონე პირთა გამოვლენის მიზნისათვის);

ბ) ბსუ-ს პორტალის მოდულში „რეგისტრაცია საერთო საცხოვრებელში 2024-2025 სასწავლო წლისათვის“ რეგისტრაცია (დადასტურება).

3. დაევალოს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ერთობლივად, კოორდინირებულად უზრუნველყონ საერთო საცხოვრებელში რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება და სტუდენტთა ინფორმირება (საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის

მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირების გათვალისწინებით გაგრძელდეს რეგისტრაცია წინამდებარე ბრძანებაში ცვლილების შეტანის გარეშე (განთავსდეს ინფორმაცია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე ტექსტის მომზადება და ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.
5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
6. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებელის მენეჯერს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე